იურიდიული პირებისთვის არასტანდარტული (ინდივიდუალური) ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება #1

<u>თარიღი: 15 დეკემბერი, 2023წელი</u>

მხარე	ოპერატორი	აბონენტი
სახელწოდება	შპს „მაგთიკომი“	ააიპ ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლა
საიდ. ნომერი	204876606	202053295
მისამართი	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7	ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, დიღმის მასივი, I კვ.კორპ. 3ა
ტელეფონი	(995 32) 217 00 00, 110011	
ვებგვერდი	www.magticom.ge	
წარმომადგენელი	ლევან ნორაკიძე მინდობილობის თარიღი: 01.09.2023 რეგისტრაციის #231300632 ინდივიდუალური #16635700254723	დირექტორი ნანა მეძმარიაშვილი

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1 ხელშეკრულების საგანია ინტერნეტმომსახურების (CPV კოდი: 72400000) გაწევა. ფიქსირებული ქსელის საშუალებით ინტერნეტ ან/და IPTV ან/და VoIP მომსახურების (მომსახურების სახეობა) მიწოდება, რის სანაცვლოდაც აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი სააბონენტო გადასახდელი და მომსახურების სხვა საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

1.2 აბონენტის მიერ შეკვეთილი კონკრეტული მომსახურების სახეობა, საფასური, ინტერნეტ-მომსახურების შემთხვევაში მიწოდებული მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები, მომსახურების მიწოდების ტექნოლოგია (ოპტიკური კაბელი, რადიო სიგნალი და ა. შ.), ინსტალაციის ღირებულება, მომსახურების მიღების მისამართ(ებ)ი/წერტილ(ებ)ი (უნიკალური ნომერი), სტატიკური IP სარგებლობის საფასური, VoIP მომსახურების ლიმიტი (ლიმიტი არის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ ჯამურად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობა, რომლის ამოწურვის ან მიღწევის შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს მომსახურების მიწოდება). და სხვა სპეციფიკური პირობები მოცემულია შეკვეთის ფორმაში. თუ მხარეთა შორის სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, თავდაპირველად შერჩეული მომსახურების პაკეტის ცვლილებისას, როგორც წესი არ ხდება ახალი შეკვეთის ფორმის დადება და ოპერატორი მომსახურების პაკეტის ცვლილებას ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით განსაზღვრული წესით. შეკვეთის ფორმის გაფორმების/განახლების საჭიროებას წყვეტს ოპერატორი. თუ შეკვეთის ფორმით სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ახალი შეკვეთის ფორმა არ აუქმებს მოქმედ შეკვეთის ფორმას და მოქმედებს მასთან ერთად.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულება, „სტანდარტული პირობები“, „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები“, „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“, შეკვეთის ფორმ(ებ)ი, ნებისმიერი საოპერაციო წესი, თუ დამატებითი დოკუმენტი, რომლებიც გამოცემულია/გამოიცემა დრო და დრო და შესაბამისი მითითებით ინკორპორირებულია ხელშეკრულებაში ან/და პირდაპირ შემხებლობაშია ხელშეკრულებასთან, ხელშეკრულების დანართები და მომავალში მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული დანართი/გარიგება, წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

1.4 აბონენტი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება <u>„მომსახურების მიწოდების სტანდარტულ პირობებს“, „მომსახურების კეთილსინდისიერი სარგებლობის წესებს“</u> და <u>„კონფიდენციალურობის პოლიტიკას“</u>. <u>აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია ოპერატორის ვებგვერდზე (www.magticom.ge).</u>

2. <u>მომსახურების პირობები, წესები, აკრძალვები უსაფრთხოება</u>

2.1 მომსახურების გაწევას ოპერატორი დაიწყებს საინსტალაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ. შეკვეთის ფორმაში მითითებული იქნება მხარეთა მიერ შეთანხმებული ინსტალაციის ვადა. ამასთან, შეკვეთის ფორმაში მითითებული ვადა აითვლება შესაბამისი სუბიექტების (მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების) მიერ საინსტალაციო სამუშაოებისათვის საჭირო ყველა ნებართვის გაცემის დღიდან.

2.2 საინსტალაციო სამუშაოების დასრულების და მომსახურების დაწყების თარიღის შესახებ აბონენტი მიიღებს შეტყობინებას ოპერატორის ან მენეჯერისაგან (ოპერატორის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც აბონენტთან ურთიერთობაში მოქმედებს ოპერატორის სახელით).

2.3 აბონენტი უფლებამოსილია მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი მომსახურების სახეობიდან რამდენიმე ერთდროულად, ისევე როგორც ისარგებლოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა მომსახურებით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას, ასევე შემდგომ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით მომსახურების შეცვლით/დამატებით. მომსახურების დამატების/შეცვლის შესაძლებლობა გეოგრაფიული, ტექნიკური, უსაფრთხოების, თუ სხვა სახის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესწავლილ უნდა იქნას ოპერატორის მიერ და შესაძლოა დაკავშირებული იყოს საინსტალაციო თუ სხვა სახის სამუშაოებთან და შესაბამის ხარჯებთან.

2.4 ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, აბონენტისათვის მიწოდებული ინტერნეტ სიჩქარე, ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები, წერტილების რაოდენობა და სხვა დამატებითი პარამეტრები განსაზღვრულია შეკვეთის ფორმით, აბონენტის მიერ არჩეული მომსახურების პაკეტის შესაბამისად. Radio ინტერნეტ მომსახურების გაწევა ხდება ოპერატორის სხვადასხვა უსადენო ტექნოლოგიის მეშვეობით.

2.5 აბონენტი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა. ამასთან, აბონენტი ვალდებულია მომსახურებით სარგებლობისას გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, მათ შორის, არასრულწლოვნების მიერ ინტერნეტის/ტელევიზიის/ტელეფონის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვა.

2.6 კონკრეტული მომსახურების სახეობის მიღება შესაძლოა დამოკიდებული იყოს, სხვა მომსახურების სახეობის მიღებაზე. თუ დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, IPTV და VoIP მომსახურებით სარგებლობის წინაპირობაა ოპერატორის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ აბონენტისთვის ინტერნეტ მომსახურების მიწოდება წყდება, ეს ავტომატურად იწვევს მთლიანი ხელშეკრულების და შესაბამისად, IPTV ან/და VoIP მომსახურების მიწოდების შეწყვეტას.

2.7 IPTV მომსახურებისას გარკვეულ ტელეარხებზე შესაძლოა შეთავაზებულ იყოს გადახვევა/დაპაუზების და სხვა სახის ფუნქცია, რომელიც არ წარმოადგენს IPTV მომსახურების სავალდებულო ნაწილს, შესაბამისად, ოპერატორი არ იღებს პასუხისმგებლობას აბონენტის მიერ აღნიშნული ფუნქციებით სარგებლობის შესაძლებლობაზე/უწყვეტობაზე. ამასთან, სხვადასხვა ტელეარხისთვის დროდადრო შესაძლოა გაუქმდეს აღნიშნული ფუნქციები, ასევე შეიცვალოს გადახვევის ხანგრძლივობა, რაზეც ოპერატორი აბონენტს არ გაუგზავნის შეტყობინებას.

2.8 VoD მომსახურებით შესაძლებელია იმ კონტენტის გამოძახება, რომელიც მოცემულია აბონენტის ონლაინ კატალოგში. VoD შემავალი ზოგიერთი კონტენტის გამოძახებისთვის შესაძლოა დადგენილი იყოს დამატებითი საფასური და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაცია მოცემულ იქნება სამართავ პანელში.

2.9 IPTV მომსახურების პაკეტში შემავალი ტელეარხების ჩამონათვალი მოცემულია დანართში მოცემულ ლინკზე.

2.10 VoIP მომსახურების მისაღებად აბონენტს სააბონენტო ნომერი გადაეცემა დროებით სარგებლობაში. თუ აბონენტს დამატებით სურს მისთვის გამოყოფილ სააბონენტო ნომერზე ვირტუალური ასს-ის ან სატელეფონო არხის (სატელეფონო არხები, რომლებიც უზრუნველყოფენ სააბონენტო ნომერზე ერთდროულად განსაზღვრული რაოდენობის სატელეფონო ზარის გატარებას) მოწყობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შეკვეთის ფორმით განისაზღვრება მისი მოწყობის (კონფიგურაციის) ერთჯერადი საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფუნქციონირების უზრუნველყოფის ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი. VoIP მომსახურებისას ერთიანი, უწყვეტი ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს.

2.11 მომსახურების მისაღებად აბონენტი იყენებს საკუთარ სააბონენტო მოწყობილობას (კომპიუტერი, ტელევიზორი, პლანშეტი და ა. შ.).

2.12 აბონენტი ვალდებულია მომსახურება გამოიყენოს მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, შეკვეთის ფორმაში მითითებულ კონკრეტულ წერტილ(ებ)ზე. აკრძალულია მომსახურების გადაყიდვა ან მიწოდება ნებისმიერი ფორმით მომსახურების მიწოდება/გაზიარება მესამე პირებისათვის. მომსახურებით სარგებლობისას აბონენტი ვალდებულია დაიცვას ოპერატორის მიერ დადგენილი და ოპერატორის ვებგვედზე გამოქვეყნებული „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები“. ინტერნეტ-მომსახურებით უსადენო ტექნოლოგიით სარგებლობისას (Wi-Fi), აბონენტი ვალდებულია ქსელის უსაფრთხოებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად მომსახურების აპარატურას ან/და სააბონენტო მოწყობილობას დაადოს პაროლი და არ დაუშვას აღნიშნული პაროლის გასაჯაროება/ხელმისაწვდომობა მესამე პირებზე. აღნიშნული დანაწესი არ ზღუდავს აბონენტს, მომსახურებით სარგებლობის უფლება მისცეს მომსახურების მიწოდების ფართზე მყოფ საკუთარ თანამშრომლებს, დაქირავებულ პირებს და ვიზიტორებს.

2.13 18+ ტელეარხების და ოპერატორის მიერ განსაზღვრული კონტენტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური კოდის შეყვანის შემთხვევაში, რომელიც აბონენტს ეგზავნება საკონტაქტო ნომერზე ან ელ.ფოსტაზე, ასევე შესაძლოა მითითებული იყოს პორტალზე. არასრულწლოვანებისათვის ასეთი ტელეარხების/კონტენტის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, კოდის დაცულად შენახვა წარმოადგენს აბონენტის პასუხისმგებლობას.

2.14 VoIP მომსახურების შეწყვეტისას აბონენტი წყვეტს სააბონენტო ნომრით სარგებლობას და ნომერი უბრუნდება ოპერატორს. ამ წესიდან გამონაკლისია პორტირების შემთხვევა, როდესაც ოპერატორის ქსელიდან სხვა სატელეფონო კომპანიის (მიმღები კომპანია) ქსელში პორტირებულ აბონენტს, ოპერატორის მიერ მისთვის გადაცემული სააბონენტო ნომერი რჩება სარგებლობაში, „მიმღებ კომპანიასთან“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. „მიმღებ კომპანიასთან“ ხელშეკრულების შეწყვეტისას (თუ ეს შეწყვეტა არ უკავშირდება კვლავ პორტირებას) სააბონენტო ნომერი უბრუნდება ოპერატორს.

2.15 VoIP მომსახურებისას, როდესაც ამ მომსახურების მისაღებად გამოყოფილი სერვერები განთავსებულია ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარეს, მაშინ აბონენტი თავად აგებს პასუხს აღნიშნული სერვერებისა და მისი შიდა ქსელის უსაფრთხოებასა და დაცულობაზე. ისევე როგორც, მომხმარებლის სახელისა (username) და პაროლის გადაცემის შემდეგ თავად აგებს პასუხს მის დაცულობასა და გაუმჟღავნებლობაზე.

2.16 თუ აბონენტს VoIP ტექნოლოგიით მიეწოდება მრავალარხიანი VoIP მომსახურება (SIP Trunking), მაშინ, აბონენტს, მომსახურების მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტიდან გამომდინარე, სააბონენტო ნომერთან ერთად, ენიჭება სტატიკური IP მისამართი. ამასთან, აბონენტი თავად არის პასუხისმგებელი აღნიშნული IP მისამართის დაცულობაზე. ამ შემთხვევაში, აბონენტის ანგარიშის იდენტიფიცირება ხდება IP მისამართის მეშვეობით, კერძოდ, IP მისამართის მეშვეობით წამოწყებული ან დასრულებული სატელეფონო კავშირი ჩაითვლება აბონენტის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღებად, მიუხედავად იმისა, კავშირი განხორციელებულია შეკვეთის ფორმის შესაბამისად აბონენტისთვის გამოყოფილი სააბონენტო ნომრის მეშვეობით თუ მის გარეშე.

3. <u>მომსახურების ხარისხი</u>

3.1 ოპერატორი გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს შეკვეთილი მომსახურების ხელმისაწვდომობა (ოპერატორის ქსელის ტერმინაციის წერტილთან სადენიანი მიერთებით) წლიური 98,3%-იანი მაჩვენებლით, რაც გულისხმობს ყოველი სრული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯამში მომსახურების არაუმეტეს 12.25 (თორმეტი საათი და ოცდახუთი წუთი) საათიან შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლისთვისაც ოპერატორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა და რომელიც ამავდროულად არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა (ისეთი დაზიანება, რომელიც არ ჩაითვლება ზემოაღნიშნულ 12.25 საათიან პერიოდში).

3.2 IPTV მომსახურების დროს ხელმისაწვდომობის მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მხოლოდ მომსახურების პაკეტის სრული ხელმიუწვდომლობა (პაკეტში შემავალი ყველა ტელეარხის გათიშვა/შეფერხება და არა რამდენიმე მათგანის, რაც არ ჩაითვლება ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესებად).

3.3 ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი მოცემულია დანართში და ოპერატორის ვებგვერდზე. ფაქტობრივად ხელმისაწვდომი ინტერნეტ სიჩქარე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სულ მცირე არაპიკის საათებში მუდმივად და პიკის საათების 90% ან მთელი დღის 95% შემთხვევაში. პიკის საათის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში 4 საათზე მეტი.

3.4 ოპერატორი უზრუნველყოფს შეთანხმებული ხარისხით მომსახურების მიწოდებას ოპერატორის ქსელის ტერმინაციის წერტილთან სადენიანი მიერთებით. შესაბამისად, მომსახურების ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება მაგალითად Wi-Fi მოწყობილობით გასხივებული სიგნალი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აბონენტი სარგებლობს ოპერატორის მიერ მიწოდებული Wi-Fi მოწყობილობით.

3.5 თუ დაზიანება ოპერატორის ქსელის ტერმინაციის წერტილიდან ოპერატორის მხარესაა, ოპერატორი ვალდებულია აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და ნაკლოვანებები და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით, გონივრულ ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. თუ დაზიანების აღდგენისათვის საჭიროა ადგილზე ვიზიტი, ვიზიტის დრო შეთანხმდება აბონენტთან და შესაბამისად იმოქმედებს დაზიანების აღმოფხვრის განსხვავებული ვადა. შენიშვნა: ოპერატორის ქსელის ტერმინაციის წერტილი, თუ დანართით/შეკვეთის ფორმით ან სხვა გარიგებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, არის ადგილი, სადაც სრულდება ოპერატორის ქსელი და იწყება აბონენტის პირადი შიდა ქსელი (როგორც წესი ეს ის ადგილია სადაც ოპერატორის შესაბამისი კაბელი შედის აბონენტის განთავსების ადგილას/ინდ. ფართში). ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მომსახურებ(ებ)ის გაწევისას მომსახურების აპარატურა მდებარეობს ოპერატორის ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარეს.

3.6 თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარესაა ან გამოწვეულია აბონენტის ქმედებით, ოპერატორი არ არის ვალდებული აღმოფხვრას ამგვარი დაზიანება. ასეთ შემთხვევაში, ოპერატორის და აბონენტის

შეთანხმებით შესაძლოა დაზიანება აღმოფხვრას ოპერატორმა. ასეთი დაზიანების აღმოფხვრის საფასური განისაზღვრება დაზიანების ტიპის დადგენისა და მოკვლევის შედეგად, ინდივიდუალურად, ოპერატორის მიერ. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, დაზიანების დადგენისა და მოკვლევის მიზნებისათვის ოპერატორის ტექნიკური პერსონალის გამოძახება შესაძლოა იყოს ფასიანი. აბონენტის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება თუ გარემოება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ოპერატორის მიერ აბონენტისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება ან შეწყვეტა, არ ათავისუფლებს აბონენტს მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

3.7 აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს ოპერატორის წარმომადგენლების შეუფერხებელი დაშვება მომსახურების აპარატურასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერატორი თავისუფლდება ნებისმიერ სახის პასუხისმგებლობისაგან.

3.8 მომსახურების აპარატურაზე ქარხნული წუნის არსებობისას, ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მისი შეკეთება/შეცვლა საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში, საგარანტიო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. თუ გასულია საგარანტიო პერიოდი ან არსებობს საგარანტიო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, რაც გამორიცხავს საგარანტიო პირობების მოქმედებას, ოპერატორი უფლებამოსილია მომსახურების აპარატურის შეკეთება/შეცვლისათვის მოსთხოვოს აბონენტს შესაბამისი საფასურის გადახდა.

3.9 ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა და „სტანდარტული პირობებით“ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა გადასცდა ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ დროს, ოპერატორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგი სახით: ინტერნეტ მომსახურების/IPTV მომსახურების შემთხვევაში, აბონენტს, სააბონენტო ანგარიშზე გაუაქტიურდება სააბონენტო ლიმიტი, რომელიც ტოლია შესაბამისი წყვეტის დროის პროპორციული სააბონენტო გადასახდელის საფასურის 8%-ის. გაუგებრობისა და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი მომსახურების შემთხვევაში, ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე გასააქტიურებელი ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება, კონკრეტული დასაკომპენსირებელი მომსახურების დაბრუნების მომენტში არსებული სააბონენტო გადასახდელიდან.

3.10 ხელშეკრულებით განსაზღვრული დათქმებისა, მათ შორის, „სტანდარტული პირობებით“ მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ VOIP მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ დროს, ოპერატორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგნაირად: აბონენტს, სააბონენტო ანგარიშზე გაუაქტიურდება სააბონენტო ლიმიტი, რომელიც ტოლია უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტობრივად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობის 1 %-ის, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე.

3.11 აბონენტმა მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების თუ დაზიანების შესახებ ოპერატორს უნდა შეატყობინოს: ა) პორტალის საშუალებით, რომლის შემდგომ, საპასუხოდ, ოპერატორი, ამგვარი კორპორაციული პორტალის საშუალებით უგზავნის აბონენტს ინფორმაციას დაზიანების სტატუსის შესახებ; ან ბ) ცხელ ხაზზე ნებისმიერ დროს განხორციელებული ზარით ან მენეჯერისათვის, სამუშაო საათებში გაგზავნილი შეტყობინებით.

3.12 მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების დრო დაითვლება აბონენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი წესით ოპერატორის შეტყობინების მომენტიდან მის აღმოფხვრამდე, იმ გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში და „სტანდარტულ პირობებში“.

3.13 ხელშეკრულების 3.9 და 3.10 პუნქტით განსაზღვრული საკომპენსაციო პირობა ამოქმედდება მხოლოდ აბონენტის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ამასთან, ამგვარი მოთხოვნა ოპერატორს უნდა წარედგინოს მიმდინარე საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ოპერატორი ვალდებულია, ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ, შეინახოს მინიმუმ შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, ოპერატორი აცხადებს და აბონენტისთვის ცნობილია, რომ ოპერატორს შესაძლოა არ ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ შეინახოს ეს ინფორმაცია.

3.14 აბონენტი უფლებამოსილია მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს ცხელი ხაზის საშუალებით.

4. <u>მომსახურების საფასური. ანგარიშსწორება</u>

4.1 აბონენტი ვალდებულია, გადაიხადოს მომსახურების საფასური, ინსტალაციის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გადასახდელები (დამატებითი მომსახურების საფასური, წუთობრივი საფასური და სხვა) შეკვეთის ფორმ(ებ)ით განსაზღვრული გადახდის პირობის შესაბამისად. VoIP მომსახურების შემთხვევაში აბონენტი ასევე ვალდებულია გადაიხადოს შესაბამის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დარიცხული სატელეფონო

კავშირების წუთობრივი ღირებულება, 112 მომსახურების საფასური, სააბონენტო ნომრის გამოყოფის ერთჯერადი საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვირტუალური ასს-ის მოწყობის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ნებისმიერი სხვა სახის გადასახდელი, რომელიც სპეციფიკურია და დამახასიათებელია კონკრეტული მომსახურების სახეობისთვის და რომელიც მითითებულია შესაბამის შეკვეთის ფორმაში.

4.2 თუკი შესაბამისი შეკვეთის ფორმით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მომსახურების სააბონენტო გადასახდელი მოიცავს ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას და მომსახურების გასაწევად აბონენტისათვის გადაცემული აპარატურით სარგებლობის საფასურს.

4.3 შეკვეთის ფორმაში შეთანხმებული მომსახურების საფასური წარმოადგენს აბონენტის მიერ შეკვეთილი, მომსახურების სახეობების, ჩართული წერტილების, სააბონენტო ნომრების რაოდენობის და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით შეთანხმებულ საფასურს. შესაბამისად, მომსახურების სახეობის ან/და კონკრეტულ წერტილზე მომსახურების შეჩერებამ ან მოცულობის შემცირებამ ან შეწყვეტამ შესაძლოა წარმოშვას დარჩენილი სააბონენტო გადასახდელის/საფასურის ცვლილება. ამდენად, ასეთ შემთხვევაში მომსახურების საფასურზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

4.4 სააბონენტო ანგარიშზე ან ოპერატორის ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად მესამე პირების სერვისის გამოყენებისას, სერვისის საფასური და პირობები დგინდება ასეთი სერვისის გამწევი კომპანიის მიერ და იგი სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

4.5 ანგარიშსწორება ხორციელდება წინასწარი ან შემდგომი გადახდის პირობით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ანგარიშსწორების კონკრეტული პირობები განსაზღვრულია შეკვეთის ფორმით. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის საანგარიშო პერიოდი გულისხმობს კალენდარულ თვეს.

4.6 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **900 ლარი.**

4.7 ტარიფები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, თუ კონკრეტული მომსახურების ტარიფით გათვალისწინებული პირობებით, სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

4.8 112-ის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება 2019 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #660 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

4.9 აბონენტი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტის ნებისმიერი მომსახურების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას ოპერატორის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურების (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თუ სხვა) საფასური.

5. <u>მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა/აღდგენა</u>

5.1 აბონენტის მიერ შეკვეთის ფორმებით გათვალისწინებული ჯამური თანხის (მათ შორის, სააბონენტო გადასახდელი, ინსტალაციის საფასური, მომსახურების წუთობრივი საფასური, დამატებითი სერვისის ფარგლებში დარიცხული საფასური და ნებისმიერი სხვა დავალიანება) დადგენილ ვადაში სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მომსახურების სახეობის მიწოდება.

5.2 თუ მომსახურების მიწოდება ხორციელდება პორტირებული სააბონენტო ნომრის მეშვეობით და პორტირებულ სააბონენტო ნომერზე აბონენტს გააჩნია დონორი ოპერატორის დავალიანება, აბონენტი ვალდებულია დავალიანება დაფაროს პორტირებიდან 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში დავალიანების არ დაფარვის შემთხვევაში ოპერატორი იტოვებს უფლებას შეზღუდოს მომსახურების მიწოდება, აბონენტის მხრიდან დავალიანების დაფარვამდე.

5.3 ოპერატორი ასევე უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება შემდეგ შემთხვევებში:

5.3.1 აბონენტის მხრიდან „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევისას;

5.3.2 ოპერატორის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ სხვა მომსახურებაზე (მათ შორის სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე) დავალიანების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აბონენტს მომსახურება წინასწარ აქვს შეძენილი;

5.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

5.3.4 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას.

5.4 ინტერნეტ მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს სხვა მომსახურების სახეობების (VoIP, IPTV) და დამატებითი სერვისების შეზღუდვას, თუ ასეთი მომსახურების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ძირითადად მომსახურების შეზღუდვის პერიოდში, VoIP მომსახურების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საგანგებო სამსახურის ნომრებზე ზარის განხორციელება.

5.5 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გააქტიურებული მომსახურების სრულად ან ერთ-ერთი სახეობის შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტს უუქმდება ამ ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხული/ჩართული ნებისმიერი სახის

საჩუქარი, შეღავათი, ქულა, აქცია, ფასდაკლება და სხვა, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული კონკრეტული აქციის, და შეთავაზების პირობებით.

5.6 დავალიანების ან დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების გამო მომსახურების შეზღუდვამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატურული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში, აბონენტის გაფრთხილების მიზნით ოპერატორი მოახდენს ინფორმირებას, მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის შესახებ. სხვა შემთხვევებში (მაგ. ფორს-მაჟორი) ოპერატორი მიიღებს გონივრულ ზომებს აბონენტის ინფორმირებისათვის.

5.7 ოპერატორის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად, გაგზავნის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, აბონენტის მიერ მოხდება თუ არა ასეთი შეტყობინების შინაარსის ფიზიკურად მიღება/წაკითხვა/მოსმენა.

5.8 ანგარიშსწორების ვადის დაგვიანებისას თუ არ შეიზღუდა მომსახურების მიწოდება აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური.

5.9 შეზღუდული მომსახურების მიწოდება აღდგება შესაბამისი დავალიანების გადახდიდან ან სხვა დარღვევისას მისი აღმოფხვრიდან მომდევნო სამუშაო დღის (სამუშაო დღე - ნებისმიერი დღე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა უქმე და დასვენების დღეებისა) განმავლობაში.

6. <u>ხელშეკრულების ძალაში შესვლა. მოქმედების ვადა</u>

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით. მომსახურება გაწეულ უნდა იქნას 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე არც ერთი მხარე არ გამოხატავს ნებას მისი შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იგივე ვადითა და პირობებით, ყოველი მომდევნო ვადის ამოწურვის შემდეგ.

7. <u>ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

7.1 ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:

7.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

7.1.2 ოპერატორის ინიციატივით, მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 60 დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;

7.1.3 ოპერატორის მიერ, ცალმხრივად ოპერატორთან გაფორმებული წინამდებარე, თუ სხვა ხელშეკრულების ფარგლებში „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევის შემთხვევაში;

7.1.4 ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და დამრღვევი მხარე გაფრთხილების მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას;

7.1.5 ოპერატორის მიერ, მომსახურების/ტექნოლოგიის გაუქმების ან მოდიფიცირებისას;

7.1.6 ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაციისას;

7.1.7 აბონენტის მიერ, ხელშეკრულების 7.6-7.7 პუნქტის გათვალისწინებით, სულ მცირე 30 დღით ადრე გაკეთებული შეტყობინებით;

7.1.8 აბონენტის მიერ, 9.3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით;

7.1.9 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

7.1.10 ავტომატურად, თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში აბონენტი უწყვეტად 90 დღის განმავლობაში არ ისარგებლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით. მე-11 მუხლით დადგენილი წესით მომსახურების შეჩერების პერიოდი ითვლება მომსახურებით სარგებლობად.

7.1.11 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.2 ოპერატორი ასევე უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება აბონენტისათვის შეკვეთილი მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს მაგალითად: ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, მესამე პირების მხრიდან ინფრასტრუქტურით/ფართით სარგებლობის შეზღუდვა/აკრძალვა, წინააღმდეგობა უსაფრთხოების სტანდარტებთან, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული მომსახურების მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვა...

7.3 აბონენტს უფლება აქვს განახორციელოს სააბონენტო ნომრის პორტირება სხვა კომპანიის ქსელში. პორტირების მოთხოვნა გულისხმობს VoIP მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნას და პორტირების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ამ მომსახურების მიწოდება ჩაითვლება შეწყვეტილად. პორტირების შესახებ დეტალური პირობები

მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. VOIP მომსახურების შეწყვეტის შემდგომ ოპერატორი უფლებამოსილია გააუქმოს სააბონენტო ნომერი და გასცეს იგი სხვა აბონენტზე.

7.4 ხელშეკრულების/მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს აბონენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიღებული მომსახურების საფასურის სრულად გადახდის ვალდებულებისაგან).

7.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს შეწყვეტის მომენტისათვის (შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში) სააბონენტო ანგარიშზე არსებული და გაუხარჯავი თანხის დაბრუნება. აბონენტს თანხა დაუბრუნდება მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში, მომსახურების ხარჯების გამოკლებით. სააბონენტო ანგარიშზე არსებული ერთეულები (ოპერატორის მიერ აბონენტისათვის დარიცხული ქულები, ბონუსი ან ნებისმიერი წამახალისებელი ან სხვა ტიპის სარგებელი) უქმდება/არ ექვემდებარება დაბრუნებას ან კონვერტაციას თანხაში.

7.6 აბონენტის ინიციატივით ან აბონენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის მიზეზით ოპერატორის მიერ ხელშეკრულების ან მომსახურების სახეობის, მათ შორის კონკრეტულ წერტილზე მიწოდებული მომსახურების, ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა 9.3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტისა, თუ აბონენტს მომსახურება მიეწოდება შეკვეთის ფორმაში მითითებული ფასდაკლებით, ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია 30 დღის ვადაში გადაუხადოს ოპერატორს მომსახურების საფასურის ის ნაწილი, რომელიც მომხმარებელს არ გადაუხდია დადგენილი ფასდაკლებით სარგებლობის გამო.

7.7 აბონენტის ინიციატივით ან აბონენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის მიზეზით ოპერატორის მიერ ხელშეკრულების ან მომსახურების სახეობის, მათ შორის კონკრეტულ წერტილზე მიწოდებული მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა 9.3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტისა, ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს და აბონენტი ვალდებულია 30 დღის ვადაში გადაუხადოს ოპერატორს შეკვეთის ფორმაში მითითებული ინსტალაციის საფასური ან მისი ნაწილი,, რომელიც მომხმარებელს არ გადაუხდია.

8. <u>მომსახურების აპარატურა</u>

8.1 აბონენტს დროებით სარგებლობაში გადაეცემა მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მომსახურების აპარატურა. შეტყობინება აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის ჩამონათვალის შესახებ აბონენტს გაეგზავნება ინსტალაციის შემდგომ ელ. ფოსტაზე. თუ აბონენტს ექნება პრეტენზია შეტყობინებაში მითითებული აპარატურის რაოდენობაზე ან სახეობაზე, ვალდებულია ასეთი შეტყობინების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში აცნობოს ოპერატორს. სხვა შემთხვევაში მიიჩნევა, რომ აბონენტი ეთანხმება ოპერატორის მიერ შეტყობინებაში მითითებულ ინფორმაციას.

8.2 აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურა შეინახოს და მოუაროს, ისე როგორც საკუთარს. მომსახურების აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს დაზიანებული მომსახურების აპარატურის საკომპენსაციო თანხა. ამასთან, დაზიანებულად ჩაითვლება ყველა ის მომსახურების აპარატურა, რომელსაც აქვს ნივთობრივი ნაკლი (გარეგანი დეფექტები, ბზარები და სხვა სახის ზემოქმედების ნიშნები).

8.3 აბონენტს ეკრძალება მომსახურების აპარატურის მთლიანობის დარღვევა ან რაიმე ფორმით გადაკეთება, პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლა და ა. შ. აბონენტი ვალდებულია ინტერნეტ ან IPTV მომსახურების მიღებისას გამოიყენოს მხოლოდ ოპერატორის მიერ გადაცემული აპარატურა (ONT და STB). აღნიშნული პირობა არ ზღუდავს აბონენტს მომსახურების მისაღებად გამოიყენოს მის სარგებლობაში არსებული ნებისმიერი სააბონენტო მოწყობილობა (კომპიუტერი, პლანშეტი და ა. შ.), მათ შორის, Wi-Fi აპარატურა, თუ ასეთი აპარატურა თავსებადი იქნება მომსახურების აპარატურასთან, შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებსა/სტანდარტებს და ოპერატორის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პირობებს.

8.4 მომსახურების აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ოპერატორი უზრუნველყოფს ასეთი აპარატურის უსასყიდლოდ შეცვლას საგარანტიო პერიოდის მოქმედებისას და საგარანტიო პირობებით დადგენილი წესით. სხვა შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს აპარატურის საფასური. თუ დამატებით შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მომსახურების აპარატურის საგარანტიო ვადა შეადგენს 6 თვეს.

8.5 აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს დაზიანებული აპარატურის ღირებულება. აბონენტი ვალდებულია აღნიშნული თანხა გადაიხადოს შესაბამისი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში. ამასთან, დაზიანებულად ჩაითვლება ყველა ის აპარატურა, რომელსაც აქვს ნივთობრივი ნაკლი (გარეგანი დეფექტები, ბზარები და სხვა სახის ზემოქმედების ნიშნები).

8.6 მომსახურებით სარგებლობის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში დაუბრუნოს ოპერატორს ნივთობრივად უნაკლო (ნორმალური ცვეთის

გათვალისწინებით) მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია, ოპერატორის შესაბამისი მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს აპარატურის საფასური. თუ კონკრეტული მომსახურების აპარატურის ღირებულება არ არის გათვალისწინებული შეტყობინებაში ან სხვა დოკუმენტში, აბონენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს მომსახურების აპარატურის საბაზრო ღირებულება.

8.7 ოპერატორი უფლებამოსილია თავად განახორციელოს აპარატურის დემონტაჟი, რა შემთხვევაშიც აბონენტი ვალდებულია ოპერატორის მოთხოვნისთანავე დაუშვას ოპერატორი მომსახურების მიღების ფართზე აპარატურის დემონტაჟისთვის.

9. <u>მომსახურების/ხელშეკრულების პირობების ცვლილება</u>

9.1 მომსახურების/ხელშეკრულების პირობები ან ტარიფები, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად მინიმუმ 30 დღით ადრე აბონენტის შეტყობინების საფუძველზე.

9.2 თუ ცვლილებების შედეგად იზრდება მომსახურების საფასური ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინებით, განახლებული ინფორმაციის მიღების საშუალების მითითებით. ყველა სხვა შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია არ დაიცვას 9.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

9.3 აბონენტი უფლებამოსილია ახალი პირობების ან ტარიფების ძალაში შესვლამდე, შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან შეწყვიტოს იმ მომსახურების სახეობა, რომელსაც ეხება ცვლილებები ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ აბონენტი გააგრძელებს მომსახურების შეცვლილი პირობებით მიღებას, მიიჩნევა რომ იგი სრულად ეთანხმება ცვლილებებს.

9.4 აბონენტი უფლებამოსილია მე-10 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად მოსთხოვოს ოპერატორს ხელშეკრულებით ან/და შეკვეთის ფორმით განსაზღვრული მომსახურების პირობების/მომსახურების პაკეტის პირობების შეცვლა/დამატება.

10. <u>კომუნიკაცია მხარეთა შორის</u>

10.1 ოპერატორის მხრიდან განსაზღვრული იქნება თანამშრომელი, რომელიც აბონენტთან ურთიერთობაში ცალკეულ შემთხვევებში იმოქმედებს ოპერატორის სახელით - „ანგარიშის მენეჯერი“. აბონენტის მხრიდან ოპერატორთან კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება ანგარიშის მენეჯერთან სამუშაო დღეებში 09:00 სთ-დან 18:00 საათამდე (სამუშაო საათები) ტელეფონით/ელ. ფოსტის საშუალებით ან ელექტრონული პორტალის (შემდგომში - კორპორაციული პორტალი) შესაბამისი ფუნქციონალის გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან წერილობით. კორპორაციულ პორტალზე რეგისტრაციისთვის, აბონენტი პორტალზე მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადის ფორმაში მიუთითებს შესაბამის უფლებამოსილ მომხმარებელს/მომხმარებლებს. ხელშეკრულების მიზნებისთვის ოპერატორის სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00-18:00 საათამდე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა.

10.2 აბონენტი უფლებამოსილია ოპერატორთან ურთიერთობისათვის გამოყოს კონკრეტული პირი („საკონტაქტო პირი“). მხარეები თანხმდებიან, რომ აბონენტის მიერ დასახელებული „საკონტაქტო პირი“ ავტომატურად (თუ აბონენტის მიერ წარმოდგენილი მინდობილობით, სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული) აღჭურვილი იქნება უფლებამოსილებით სრულად წარმოადგინოს აბონენტი ოპერატორთან ურთიერთობაში და მიმართოს ოპერატორს წერილობით, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით, მოითხოვოს ხელშეკრულების ცვლილება (მომსახურების დამატება/შემცირება, მომსახურების ჩართვა/გამორთვა და ა.შ.), დაზუსტება, ნებისმიერი სახის ინფორმაცია, გარდა ნომრების დეტალური ამონაწერისა. ამასთან, ვალდებულია ვალდებულია სააბონენტო ნომრით მოსარგებლე ფიზიკური პირებისაგან მიიღოს თანხმობა და მხოლოდ ამის შემდგომ მოსთხოვოს ოპერატორის ასეთი ნომრების დეტალური ამონაწერის მიწოდება. აბონენტი აცნობიერებს, რომ იგი იქნება პასუხისმგებელი სააბონენტო ნომრით მოსარგებლე ფიზიკური პირების ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, სათანადო თანხმობის გარეშე პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

10.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ოპერატორთან საკონტაქტო ნომრიდან დარეკვისას, საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართიდან, კორპორაციული პორტალით ან ოპერატორის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით, ოპერატორთან დაკავშირების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა თუ ვინ ახორციელებს შესაბამის კომუნიკაციას, ჩაითვლება რომ ნებისმიერი მოთხოვნა ხორციელდება აბონენტის სურვილით და მისგან გამომდინარე შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება აბონენტს.

10.4 აბონენტის მიერ საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ოპერატორისთვის ბოლოს ცნობილ მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად. აბონენტის წარმომადგენლისთვის (მინდობილი პირისთვის) მინდობილობის გაუქმების ან ორგანიზაციის „საკონტაქტო პირის“

ცვლილების შესახებ ოპერატორის შეტყობინებამდე, ასეთი წარმომადგენლისგან/"საკონტაქტო პირისგან" მიღებული წერილი/შეტყობინება ჩაითვლება აბონენტისგან მიღებულად. შესაბამისად, ოპერატორი იხსნის ნებისმიერ პასუხისმგებლობას აბონენტისათვის საკონტაქტო მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინებების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანზე ან შედეგზე.

10.5 თუ ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული აბონენტის ხელმოწერით, რაიმე დოკუმენტით (ქვითარი და სხვა) ან/და შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით, თუ ოპერატორს შეტყობინება დაუბრუნდება აბონენტის ადგილსამყოფელის არ არსებობის გამო ან აბონენტი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას. ასეთი შეტყობინება მიჩნეულ უნდა იქნას სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად.

10.6 კომუნიკაცია კორპორაციული პორტალის საშუალებით:

10.6.1 აბონენტის სურვილის შემთხვევაში, ოპერატორი უზრუნველყოფს ელექტრონული პორტალის ფუნქციონირებას, რის თაობაზეც მხარეები დამატებით გააფორმებენ შეთანხმებას (შესაბამის დანართს);

10.6.2 „კორპორაციულ პორტალზე" აბონენტის მხრიდან მომხმარებლის რეგისტრაციის წესი, სარეგისტრაციო ფორმა, მომხმარებელთა კატეგორიები და კატეგორიის შესაბამისად მინიჭებული უფლებები განისაზღვრება დანართით;

10.6.3 აბონენტის მიერ „კორპორაციულ პორტალზე" რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს ელექტრონული ფორმით განახორციელოს ის ქმედებები, რაც განსაზღვრული იქნება ოპერატორის მიერ;

10.6.4 „კორპორაციულ პორტალზე" დანართის წესების შესაბამისად აბონენტის მიერ რეგისტრირებული მომხმარებლის მხრიდან ელექტრონული ფორმით მიღებული მოთხოვნა, ამ მომხმარებლისათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, მიიჩნევა აბონენტის ნების გამოვლენად და ამ სახით მიღებული მოთხოვნის შესაბამისად ოპერატორის მიერ განხორციელებული ქმედება ჩაითვლება აბონენტის (მისი უფლებამოსილი პირის) კონკრეტული მოთხოვნის შესრულებად.

11. <u>მომსახურების შეჩერება</u>

11.1 აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების ფასიანი შეჩერება, არაუმეტეს წელიწადში 6 თვის ვადით. 6 თვეზე მეტი ხნის ვადით მომსახურების შეჩერების თაობაზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დამატებით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ოპერატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება. მომსახურების შეჩერების ყოველთვიური საფასური, როგორც ერთი მომსახურების სახეობისთვის, ასევე ყველა მომსახურებისთვის ერთდროულად, მომსახურების მიღების თითოეულ წერტილზე(უნიკალური ნომერზე) შეადგენს თვეში 10 ლარს დღგ-ს ჩათვლით. მომსახურების შეჩერება გულისხმობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში აბონენტს არ მიეწოდება და არც ერიცხება მომსახურების საფასური. აბონენტს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების შეჩერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ ერიცხება ოპერატორის მიმართ დავალიანება. ეს პირობა მოქმედებს მომსახურების საფასურის როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი გადახდის პირობის არსებობის შემთხვევებში.

11.2 მომსახურების შეჩერების მოთხოვნით აბონენტი უკავშირდება მენეჯერს წერილობით და ითხოვს მომსახურების შეჩერებას კონკრეტული ვადით. მომსახურების შეჩერების პერიოდის დასრულების შემდგომ მომსახურების მიწოდება აღდგება ავტომატურად.

12. <u>პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება</u>

12.1 ოპერატორი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს აბონენტს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს აბონენტს ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად და რომელიც გამოწვეულია, ოპერატორის დადასტურებული ბრალეულობით, მხოლოდ განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

12.2 აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს ოპერატორს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს ოპერატორს აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

12.3 გარდა ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორს ნებისმიერი პირის მიმართ დაეკისრა ჯარიმის/სანქციის გადახდა ან/და ზიანის ანაზღაურება აბონენტის მიერ მომსახურებით არამართლზომიერი/უკანონო სარგებლობის ან/და „კეთილსინდისიერი

სარგებლობის წესების“ დარღვევის შედეგად, მაშინ ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბონენტს დაკისრებული ჯარიმის/სანქციის ან/და მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

12.5 ოპერატორი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საინსტალაციო სამუშაოების წარმოება შეფერხდება/შეჩერდება ოპერატორის ბრალეულობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, მხარეები დამატებით შეთანხმდებიან მომსახურების ინსტალაციის ვადებზე, ხოლო შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

12.6 თუ გადახდის ვადის დადგომის მომენტში ოპერატორის საბილინგო სისტემაში არ არის ასახული აბონენტის მიერ გადასახდელი თანხის სრული დაფარვა, მაშინ ოპერატორი უფლებამოსილია, შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების გაწევა ან/და დააჯარიმოს აბონენტი გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ვაგადაცილებული თანხის 20%-ის ოდენობით.

13. <u>მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა</u>

13.1 ხელშეკრულებით და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13.2 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.3 აბონენტი უფლებამოსილია პრეტენზიით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს ოპერატორს ცხელ ხაზზე ან ელ. ფოსტაზე ან მისამართზე. საჩივრის ფორმა და მისი განხილვის წესები მოცემულია ოპერატორის ვებგვერდზე. აბონენტის საჩივარი განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება მაუწყებლობის სფეროს (ოპერატორის მიერ წარმოებული სატელევიზიო არხების მაუწყებლობას), პრეტენზია განიხილება „საჩივრების განმხილველი საბჭოს და სააპელაციო საბჭოს დებულებით“ დადგენილი წესების შესაბამისად.

13.4 მხარეებს შორის დავა მხარის (პრეტენდენტის) არჩევანით, განსახილველად შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დავა ეხება აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობას, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიქცეულ იქნება აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

14. <u>დასკვნითი დებულებები</u>

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის და სამართალმემკვიდრეთათვის, თუ ხელშეკრულების ან/და მისი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების ჩათვლით, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, ხელშეკრულების და ხელშეკრულების დანართის პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი დანართის პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი დანართი, გარდა ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

14.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

14.4 ოპერატორი აბონენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს ოპერატორის ვებგვედზე გამოქვეყნებული - „<u>კონფიდენციალურობის პოლიტიკის</u>“ შესაბამისად.

14.5 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

14.6 ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი

დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

14.7 ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

14.8 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

14.9 ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

14.10 ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების კონკრეტული პირობების ცვლილება ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის დაცვით ცალმხრივად.

14.11 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

15. <u>ხელმოწერები</u>

ოპერატორი ---------- აბონენტი ----------

ინტერნეტ-მომსახურების შეკვეთის ფორმა

2023წელი15 დეკემბერი

1. **მხარეები:** შპს "მაგთიკომი" - ს/კ 204876606 (შემდგომში - "ოპერატორი"), და ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლა ს.კ: 202053295, (შემდგომში "აბონენტი")
2. წინამდებარე შეკვეთის ფორმა წარმოადგენს მხარეთა შორის 2023 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული „იურიდიული პირებისთვის არასტანდარტული (ინდივიდუალური) ინტერნეტ/IPTV/VoIP მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულების" დანართს. აბონენტის მიერ შეკვეთილი ინტერნეტ მომსახურების ძირითადი მახასიათებლები და ფინანსური პირობები მითითებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	უნიკალური ნომერი	მომსახურების მიწოდების მისამართი	ინსტალაციის ვადა	ინტერნეტის სიჩქარე (მაქსიმალური)	ინსტალაციის ერთჯერადი საფასური	ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი
1	FTTB_328842191	დიღმის I კვ 3ა	არსებული ჩართვა	8 მბ/წმ	არსებული ჩართვა	75 ლარი

ოპტიკური კაბელით მიწოდებული ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები:
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე არის ცხრილში დაფიქსირებული მაქსიმალური სიჩქარის 80%;
მინიმალური სიჩქარე არის ცხრილში დაფიქსირებული მაქსიმალური სიჩქარის 20%;
დაყოვნება - < 400 მილიწამი;
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი - <3 %;
ჯიტერი - <50 მილიწამი.

3. ცხრილში მოცემული ზოგიერთი პირობის განმარტება:

3.1. დღეებით გამოხატული ინსტალაციის ვადა წარმოადგენს სამუშაო დღეების (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა) რაოდენობას. ოპერატორი უფლებამოსილია, განახორციელოს ინსტალაცია ცხრილში მითითებული ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს.

3.2. ინსტალაციის ერთჯერადი საფასური აბონენტმა უნდა გადაიხადოს შეკვეთილი მომსახურების პირველი თვის სააბონენტო გადასახდელის გადახდასთან ერთად.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით, კერძოდ აბონენტმა ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი და შეკვეთის ფორმით გათვალისწინებული სხვა საფასური უნდა გადაიხადოს ყოველი საანგარიშო პერიოდის მომდევნო კალენდარული თვის 25 რიცხვამდე, თუ 25 რიცხვი ემთხვევა არასამუშაო/დასვენების დღეს, მაშინ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.

3.4. ცხრილში აღნიშნული ყველა თანხა მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით.

4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ოპერატორის შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მეშვეობით:
   მიმღები: შპს „მაგთიკომი", ს/კ 204876606
   ანგარიშის N: GE66BG0000000241607901; GE96TB0600000899467899; GE81LB0113116112371050
5. კონტაქტო მონაცემები:

აბონენტი:

საკონტაქტო პირი	ნანა მეძმარიაშვილი	
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail:	Xelovneba14@mail.ru, makvala.nadirashvili@gmail.com]
	Mob.:	599021877, 558505810
	Tel.:	322521977
	მისამართი:	დიღმისმასივი,1კვარტალი,3-ა კორპუსი

ოპერატორი ---------- აბონენტი ----------

Draft 01.01.2023

მენეჯერი:

საკონტაქტო პირი	[----------]	
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail:	[----------]
	Mob.:	[----------]
	Tel.:	[----------]
	მისამართი:	[----------]

6. ინსტალაციის/აპარატურის გადაცემის თაობაზე აბონენტი შეტყობინებას მიიღებს ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ორმხრივად ხელმოწერილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების აუცილებლობას წყვეტს ოპერატორი. თუ აბონენტი ოპერატორის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში ხელს არ მოაწერს მიღება-ჩაბარების აქტს, ოპერატორი უფლებამოსილია შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება.
7. ამ შეკვეთის ფორმის ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ითვლება მხარეთა შორის ამ შეკვეთის ფორმის თარიღამდე გაფორმებული ინტერნეტ მომსახურების შეკვეთის ფორმა/ფორმები.

მხარეთა ხელმოწერები:

ოპერატორი	**აბონენტი**
/_____/	/_____/

Digitally signed by MagtiCom LLC
2023.12.15 15:32:56 +0400
მაგთიკომი MAGTICOM